**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება N 01-02/21

ქ. ბათუმი 31 იანვარი 2023 წელი

**ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N57 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 30 იანვრის N97963 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N01-02/121 ბრძანება.**
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

**რექტორი, პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

**ხელშეკრულება №**

ქ. ბათუმი ,,_____" ,,_____" _____წ.

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ---------- მიერ და მეორე მხრივ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ (შემდეგში - ,,პროფესიული სტუდენტი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

***მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი***

ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

_____

პროფესიულ სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულაცია.

**მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

2.1.მხარეთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე ხელშეკრულებით.

2.2.**პროფესიული სტუდენტი** ადასტურებს, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს", „პროფესიული სტუდენტის გზამკვლევს", უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს და **იღებს ვალდებულებას:**

ა) შეასრულოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, რაც გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული მოდულებით **(დანართი 1)** გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას;

ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;

გ) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე- (www.bsu.edu.ge. ან/და გაეგზავნება პროფესიულ სტუდენტს ელფოსტაზე ან/და განთავსდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საინფორმაციო დაფაზე).

დ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

**2.3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;

გ) მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების (მოდულების), შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე:

დ) ისარგებლოს მატერიალური, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, სასწავლო რესურსებით და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისებით,

თანახმად ბსუ-ს შინაგანაწესის, პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების ან/და სხვა სამართლებრივი აქტებისა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
ვ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;
თ) სასამართლოში გაასაჩივროს ბსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება:
ი) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებებით.

**2.4. უნივერსიტეტი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი განათლების მიღების უფლების რეალიზაცია, ცოდნის სამართლიანი შეფასება და შეფასების შედეგის დადგენილი წესით გასაჩივრების მექანიზმის არსებობა;
ბ) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისათვის მატერიალური, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, სასწავლო რესურსების და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისების თანაბრად ხელმისაწვდომობა, თანახმად ბსუ-ს შინაგანაწესის, პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების ან/და სხვა სამართლებრივი აქტებისა;
გ) პროფესიულ სტუდენტს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების (მოდულების), შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე:
დ) ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ' საქართველოს კანონით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის რეგულაციებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებების რეალიზაციას.

## მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური ანაზღაურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მოდულების შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსებით სწავლის შემთხვევაში.

## *მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და ხელშეკრულების ვადა*

4.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება, მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);

ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა);

დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეწყვეტის გარეშე;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ან სხვა), რაც გამორიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

4.2. პროფესიულმა სტუდენტმა სტატუსის შეჩერების მოთხოვნის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს.

4.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება (პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება);

გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან **5 წლის** გასვლა;

ვ) გარდაცვალება;

ზ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა და გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის წარმოუდგენლობა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" გათვალისწინებული შემთხვევა.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან და მოქმედებს ამ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე.

## *მუხლი 5. ხელშეკრულების სხვა დებულებები*

5.1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, შეფასების შედეგის გასაჩივრების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით.

5.2.პროფესიული სტუდენტი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას და ანიჭებს უნივერსიტეტს უფლებას დაამუშაოს, შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მესამე პირებს პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და ბსუ-ს სასწავლო პროცესის სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

5.3.ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და მხარეთა შეთანხმებით.

5.4.ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

5.5.მხარეთა რეკვიზიტებია:

**,,უნივერსიტეტი"**

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(მისამართ: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35; ვებგვერდი - www.bsu.edu.ge

ელფოსტა: info@bsu.edu.ge

**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი**

(მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15; ელფოსტა - vocational@bsu.edu.ge)

**ბსუ-ს რექტორი** ----------

(ხელმოწერა)

**,,პროფესიული სტუდენტი"**

სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

პირადობის მოწმობის №_ _ _ _ _ _

პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ფაქტობრ. მისამთ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

რეგისტრ.მისამ. ----------

ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ელ. ფოსტა_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

საკონტაქტო პირი ----------

**ხელმოწერა** _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა
(ქმედუუნარო/არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში) ----------